WALL PAINTING DETACHMENT: HISTORY AND METHODOLOGY
კედლის მხატვრობის მოხსნა: ისტორია და მეთოდოლოგია

GVANTSA POTSKHISHVILI
Ph.D. student in the doctoral program 'Conservation and the Protection of Cultural Heritage', Faculty of Restoration, Art History and Theory, Tbilisi State Academy of Art
22, Griboedov Str., Tbilisi, 0108, Georgia
Mob: +995 599 34 47 33
Email: gvantsa.potskhishvili@art.edu.ge
https://orcid.org/0009-0007-1227-9271

NANA KUPRASHVILI
Ph.D., Professor at the Tbilisi State Academy of Art,
Head of the Restoration Program at the Faculty of Restoration, Art History and Theory,
Director of the Conservation Scientific Research Center under the Faculty of Restoration, Art History and Theory at the Tbilisi State Academy of Art
22, Griboedov Str., Tbilisi, 0108, Georgia
Mob: +995 595 30 44 49
Email: nana.kuprashvili@art.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-2682-5399

NUTSA PAPIASHVILI
Ph.D. student in the doctoral program 'Conservation and the Protection of Cultural Heritage', Faculty of Restoration, Art History and Theory, Tbilisi State Academy of Art,
Scientific researcher at the Conservation Scientific Research Center under the Faculty of Restoration, Art History and Theory at the Tbilisi State Academy of Art
22, Griboedov Str., Tbilisi, 0108, Georgia
Mob: +995 595 35 95 51
Email: nutsa.papiashvili@art.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-8669-1062

Abstract

The article reviews the history and methodology of wall painting detachment, both in international and Georgian contexts. Special attention is devoted to the ethical, technical, and professional aspects of wall painting detachment. The relevance of the topic is due to the fact that, both in Georgia and abroad, many detached fragments still exist, and over the past decades, wall paintings are still being removed without sufficient research and justification. Such interventions cause significant damage to cultural heritage monuments.

The research includes an analysis of both local and international experiences. It describes wall painting detachment techniques such as *strappo*, *stacco*, and *stacco a massello*—their advantages and disadvantages, purposes of use, and the outcomes achieved.

Local and international examples are identified, including interventions on various monuments in Italy, Switzerland, and Georgia. The aim of the research is to encourage professional discussion, improve conservation practices, and reconsider the standards for applying the detachment method.

It is emphasized that wall painting detachment should be considered as an extreme measure and carried out only when it is impossible to preserve the painting in its original location. For this purpose, it is important to involve interdisciplinary conservation-restoration specialists, use modern research methods, and critically analyze each case.

Keywords: Wall painting; Detachment; Conservation; Restoration; Methodology; Cultural heritage; Professional ethics.

გვანცა ფოცხიშვილი
დოქტორანტურის სტუდენტი, სადოქტორო პროგრამა 'კონსერვაცია და კულტურული მემეკვიდრეობის დაცვა', რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
საქართველო, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, 0108
მობ: +995 599 34 47 33
იმეილი: gvantsa.potskhishvili@art.edu.ge
https://orcid.org/0009-0007-1227-9271

ნანა კუპრაშვილი
დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის რესტავრაციის მიმართულების ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტთან არსებული კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი
საქართველო, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, 0108
მობ: +995 595 30 44 49
იმეილი: nana.kuprashvili@art.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-2682-5399

ნუცა პაპიაშვილი
დოქტორანტურის სტუდენტი, სადოქტორო პროგრამა 'კონსერვაცია და კულტურული მემეკვიდრეობის დაცვა', რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტთან არსებული კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველო, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, 0108
მობ: +995 595 35 95 51
იმეილი: nutsa.papiashvili@art.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-8669-1062

აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს კედლის მხატვრობის ჩამოხსნის ისტორიას და მეთოდოლოგიას, როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება კედლის მხატვრობის ჩამოხსნის ეთიკურ, ტექნიკურ და პროფესიულ ასპექტებს ეთმობა. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ დღემდე მრავალი ჩამოხსნილი ფრაგმენტი ფიქსირდება, ხოლო ბოლო ათწლეულების განმავლობაში კედლის მხატვრობის ჩამოხსნა ჯერ კიდევ ხორციელდება, საკმარისი კვლევისა და დასაბუთების გარეშე. მოცემული ჩარევა მნიშვნელოვნად აზიანებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

კვლევა ადგილობრივი და უცხოური გამოცდილების ანალიზს მოიცავს, მასში აღწერილია მხატვრობის ჩამოხსნის ტექნიკები, როგორებიცაა სტრაპო (strappo), სტაკო (stacco) და სტაკო ა მასელო (stacco a massello) - მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოყენების მიზნები და მიღებული შედეგები.

განსაზღვრულია, ადგილობრივი და საერთაშორისო მაგალითები, მათ შორის ჩარევები იტალიის, შვეიცარიისა და საქართველოს სხვადასხვა ძეგლზე. კვლევის მიზანია,

პროფესიული დისკუსიის გაღვივება, საკონსერვაციო პრაქტიკის გაუმჯობესება და ჩამოხსნის მეთოდის გამოყენების სტანდარტების გადახედვა. ხაზგასმულია, რომ კედლის მხატვრობის ჩამოხსნა უნდა შეფასდეს როგორც უკიდურესი ზომა და განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხატვრობის ავთენტურ ადგილზე შენარჩუნება შეუძლებელია. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, კონსერვატორ-რესტავრატორთა მრავალდარგობრივი სპეციალისტების ჩართვა, თანამედროვე კვლევითი მეთოდების გამოყენება და თითოეული შემთხვევის კრიტიკული ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: კედლის მხატვრობა; ჩამოხსნა; კონსერვაცია; რესტავრაცია; მეთოდოლოგია; კულტურული მემკვიდრეობა; პროფესიული ეთიკა.

შესავალი/Introduction

სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, პროექტი: FR-22-2778, „ჩამოცვენილი ან/და ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ნიმუშების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა და დაცვის მეთოდოლოგიის განსაზღვრა“.

სტატიის მიზანია, ფუნდამენტური კვლევის პროცესში ჩამოცვენილი ან/და ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ნიმუშების დაცვასთან დაკავშირებული მოძიებული თეორიული მასალის მიმოხილვა და კრიტიკული ანალიზი, რათა როგორც პროფესიული წრეების, ისე ფართო საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ კედლის მხატვრობის ჩამოხსნის ისტორიასა და მეთოდოლოგიაზე, აგრეთვე განვიხილოთ უცხოური და ადგილობრივი გამოცდილების მაგალითები.

დღეს საქართველოში არსებობს კედლის მხატვრობის მრავალი ჩამოხსნილი ნიმუში, მათ შორის მნიშვნელოვანი მაგალითებია: სვანეთში მდებარე ფარის სვიფის ეკლესიის XIV საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები, გელათის მონასტრის XVI საუკუნის მხატვრობის ნაწილები (სურ. 1, 2), ლიხაურის XVI–XVII საუკუნეების კედლის მხატვრობა (სურ. 3) და სხვ. ეს ძეგლები წარმოადგენს ქართული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშებს, რომლებიც ატარებენ მაღალ ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას. შესაბამისად, მათი დაცვა და შენარჩუნება აუცილებელია, რაც მოითხოვს ამ ძეგლებზე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის გაანალიზებას, მათი მნიშვნელობის გააზრებას და სამომავლოდ საკონსერვაციო და პრევენციული ღონისძიებების ჩატარებისას ამ გამოცდილების გათვალისწინებას.

სწორი საკონსერვაციო მიდგომების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა წარსულში დაგროვილი გამოცდილების და დაშვებული შეცდომების გაანალიზება. შესაბამისად, აუცილებელია ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ნიმუშების შესახებ (საერთაშორისო თუ ადგილობრივი გამოცდილების) საფუძვლიანი და სისტემური შესწავლა.

მეთოდები/Methods

წინამდებარე სტატია ეფუძნება ინგლისურ და ქართულ ენებზე მოძიებული პროფესიული ლიტერატურისა და სტატიების მიმოხილვასა და კრიტიკულ ანალიზს. მოცემული ინფორმაციის შეგროვება და სისტემატიზაცია მოხდა კედლის მხატვრობის ჩამოხსნის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით, შემდეგ კი გაკეთდა თითოეული შემთხვევის კრიტიკული ანალიზი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მოცემულ საკითხზე პროფესიული და დასაბუთებული მსჯელობის წარმართვა და რეკომენდაციების შემუშავება.

შედეგები/Results

პროექტის ფარგლებში ამ ტიპის დაზიანების მქონე ძეგლების კონსერვაციის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებამ და გაცნობამ მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიმოხილვის შესაძლებლობა მოგვცა. გარდა იმისა, რომ ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი მასალა მწირია, არსებული ინფორმაცია უკვე ცხადყოფს საჭიროებას, შემუშავდეს პროფესიულ სტანდარტებზე, მსოფლიო გამოცდილებასა და თანამედროვე პრაქტიკაზე დაფუძნებული რეკომენდაციები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც კედლის მხატვრობის ჩამოხსნა უკიდურესი აუცილებლობის გარეშე ხდება. დღესაც კი, საქართველოში ფიქსირდება ფაქტები, როცა მხატვრობას ხსნიან კედლის სტრუქტურიდან (ზოგ შემთხვევაში საფუძვლის ფენის, მაგ: ქვის გამაგრების მიზნით), შემდგომ კი უკან კედელზე აბრუნებენ. ასეთი ჩარევები კვლევის თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიების, მასალებისა და კონსერვატორ-რესტავრატორთა ცოდნა-გამოცდილების გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში მიუღებელია, პროფესიულ ეთიკასთან შეუსაბამოა, რადგან არ არსებობს ამის კრიტიკული აუცილებლობა.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ როგორც არაინვაზიური, ისე ინვაზიური და დესტრუქციული კვლევის მეთოდები არა მხოლოდ მხატვრობის შესრულების ტექნიკის, გამოყენებული მასალების, დაზიანებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლისთვის არის აუცილებელი, არამედ უნდა წარმოადგენდეს საფუძველს საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვისთვის.

შესაბამისად, ნებისმიერი ჩარევის ეტაპზე გამოყენებული მეთოდები და მასალები უნდა შეესაბამებოდეს მხატვრობის შესრულების ტექნოლოგიას, არსებულ მდგომარეობასა და წარსულში გამოყენებულ საკონსერვაციო მასალებს, რომლებიც, მიუხედავად მათი არაავთენტურობისა, ხშირად წარმოადგენენ ძეგლის განუყოფელ ნაწილს. აუცილებელია, რომ ჩარევამ უზრუნველყოს მხატვრული ნიმუშის სტაბილურობა და არ გამოიწვიოს მისი მდგომარეობის გაუარესება ან/და ახალი დაზიანებები.

მსჯელობა/Discussion

კედლის მხატვრობის ჩამოხსნა მსოფლიოსა და საქართველოში XX საუკუნეში გავრცელებულ და აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენდა. ამის მიზეზი, ხშირად, მათი დაცვა-გადარჩენა იყო, თუმცა ანალოგიური შემთხვევები XXI საუკუნეშიც გვხვდება. მოხსნილი ფრაგმენტების შემდგომი „ბედი“, როგორც წესი შემდეგნაირად ვითარდება:

1. კედლის მხატვრობის ჩამოხსნილი ფრაგმენტი გადაიტანება ახალ საფუძველზე, რის შედეგადაც ის არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის მოძრავი ფრაგმენტი. ის შეიძლება განთავსდეს იმავე ნაგებობაში, რომელსაც ის ეკუთვნის ან გადატანილ იქნას, მაგ., მუზეუმში;
2. არქიტექტურის კონსტრუქციული თუ სხვა ტიპის გამაგრების შემდეგ, მხატვრობის ჩამოხსნილი ფრაგმენტის კედელზე დაბრუნება;
3. ჩამოხსნილი ფრაგმენტი/ები არასათანადო პირობებში ინახება და მიუწვდომელია საზოგადოებისათვის.

კედლის მხატვრობის მოხსნა, როგორც მეთოდი, სადავოა, როგორც საკონსერვაციო-სარესტავრაციო პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის, ისე კულტურული მემვიდრეობის ძეგლ-ობიექტების მხატვრულ-ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე, ვინაიდან კედლიდან მოხსნილი მხატვრობა აღარ არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლ-ობიექტი, არ წარმოადგენს არქიტექტურული ძეგლის განუყოფელ ნაწილს და შესაბამისად, განსხვავებულ ფორმასა და დანიშნულებას იძენს. საბედნიეროდ, კედლის მხატვრობის ჩამოხსნის პრაქტიკა, როგორც მხატვრობის გადარჩენის მეთოდი, დღეს უკვე იშვიათად თუ გამოიყენება და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. თუმცა, თუკი რესტავრაცია-

კონსერვაციის ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ამგვარი მიდგომა მიღებული და გავრცე;ებული იყო.

უპირველესად, უნდა ითქვას, რომ კედლის მხატვრობის ჩამოხსნის გამოცდილება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჰქონიათ, მაგ., ვიტრუვიუსი, ძვ.წ. 58 წელს, იუწყება თუ როგორ გადაიტანეს სპარტადან "კედელს მოცილებული მხატვრობა... მოჩარჩოებული... კომიტიუმში" (Madden, 2022:3). ასევე აღსანიშნავია, ის ისტორიული და სტიქიური მოვლენები, რომლებმაც კედლის მხატვრობის მოხსნის ფართომასშტაბიანი და მრავალწლიანი ეტაპები გამოიწვია, მაგალითად, იტალიაში, რომელიც დღემდე, ამ მიმართულებით, ყველაზე დიდი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მატარებელი ქვეყანაა. შეგვიძლია, დავასახელოთ რამდენიმე ამგვარი ისტორიული მოვლენა, როგორებიცაა, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წლის 27 ივლისის დაბომბვის შედეგად, პიზას კამპოსანტო მონუმენტალეს XIII საუკუნის მხატვრების მიერ შესრულებული მოხატულობების დაზიანება. ასევე 1966 წლის წყალდიდობა ფლორენციაში და, რა თქმა უნდა, იტალიის ქალაქ ასიზის ბაზილიკის მაგალითი, რომელიც 1997 წლის ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაზიანდა. კედლის მხატვრობის სხვადასხვა ტექნიკით ჩამოხსნის მეთოდის გამოყენება პიკს XIX საუკუნეში აღწევს, რასაც პაოლო და ლაურა მორები, თავიანთ ნაშრომში "Conservation of wall paintings" ოთხ ძირითად მიზეზს უკავშირებენ (Mora, Mora, Philippot, 1984:245-261):

1. ხელოვნების ნიმუშის ერთიანობის, ავთენტურობისა თუ ისტორიული კონტექსტის უგულებელყოფა;
2. იმ ფაქტის გათვალისწინების გარეშე დატოვება, რომ აღნიშნული მიდგომა აბსოლუტურად ცვლის მხატვრობის სტრუქტურასა და ესთეტიკურ მხარეს;
3. ინტერესი, რათა შეესწავლათ მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა (მაგ., „სინოპია");
4. თავად არქიტექტურის კრიტიკული მდგომარეობა. მხატვრობის ჩამოხსნა ნაკლებ ფინანსებთან იყო დაკავშირებული.

ვიდრე კედლის მხატვრობის ჩამოხსნის მაგალითებზე უფრო დეტალურად ვისაუბრებთ, აუცილებელია, მიმოვიხილოთ ის სამი ძირითადი ტექნიკა, რომლებსაც ისტორიულად იყენებდნენ კედლის მხატვრობის ჩამოხსნის დროს:

- **სტაკო ა მასელო (Stacco a masselo).** ამ შემთხვევაში, მხატვრობის ფენასთან ერთად, ნალესობისა და საფუძვლის (სრულად ან ნაწილობრივ) ფენაც იხსნება. აღნიშნულ მეთოდს ერთი უპირატესობა აქვს: მიუხედავად იმისა, რომ სიმძიმიდან გამომდინარე, რთულია მისი ტრანსპორტირება და ამის გამო ის იშვიათად გამოიყენება, კედლის მხატვრობის სტრატიგრაფია და ავთენტური სახე მეტად არის შენარჩუნებული. თუმცა, ეს მეთოდი შენობას შეუქცევად დაზიანებებს აყენებს.
- **სტაკო (Stacco)** გულისხმობს ფერწერული ფენისა და უშუალოდ მის ქვემოთ არსებული ნალესობის (ე.წ. „ინტონაკოს") ჩამოხსნას.
- **სტრაპო (Strappo)** მხოლოდ ფერწერული ფენის ჩამოხსნის მეთოდია.

აღსანიშნავია, რომ ჩამოხსნილ კედლის მხატვრობასთან დაკავშირებულ მსოფლიო თუ ადგილობრივ ლიტერატურაში, ყურადღება მეტად მახვილდება მხატვრობის ჩამოხსნის პროცესზე, მეთოდოლოგიასა და ამ პროცესში გამოყენებულ მასალებზე; ხოლო მხატვრობის ტრანსპორტირებას, მის გრძელვადიან კონსერვაციასა თუ საგამოფენო სივრცეში პრეზენტაციას ნაკლები ყურადღება ექცევა.

თავის ნაშრომში ამას აღნიშნავს დანიელი ავტორი იზაბელ ბრაიარიც (Brajer, 2002), რომელიც ძირითადად დანიურ გამოცდილებას იშველიებს, თუმცა არაერთი საერთაშორისო მაგალითი და წყარო მოჰყავს. ნაშრომში აღნიშნულია ისიც, რომ ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის არაერთი მაგალითია, როდესაც დოკუმენტაცია არასაკმარისია ან სულაც არ არსებობს. რაც, თავის მხრივ, სხვა არაერთ პრობლემას

წარმოშობს. ასევე, საგულისხმოა, რომ შედარებით მწირია ინფორმაცია უშუალოდ გადატანის პროცესზე, შემდეგ უკვე საცავში გრძელვადიან კონსერვაციასა თუ საგამოფენო სივრცეებში ჩამოხსნილი მხატვრობის პრეზენტაციაზე.

ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტების კონსერვაციისაა და საგამოფენო სივრცეში ექსპონირების საინტერესო მაგალითია, პოლონეთში, ვარშავის ეროვნულ მუზეუმში წარმოდგენილი ფარას გალერეა[1]. კოლექციაში წარმოდგენილია ნუბიური შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ფრაგმენტები (სურ. 4, 5). VIII-XIV საუკუნეების კედლის მხატვრობის სამოცზე მეტი ფრაგმენტის კოლექცია გადატანილია ქალაქ ფარასის საკათედრო ტაძრიდან. მხატვრობა ჩამოიხსნა 1960-იან წლებში და 1972 წლიდან კოლექცია ვარშავის ეროვნულ მუზეუმშია წარმოდგენილი, სადაც მოცემული ნიმუშებისთვის საგანგებოდაა მოწყობილი დარბაზი, რომელიც ქალაქ ფარასის საკათედრო ტაძრის ინტერიერის იმიტაციას წარმოადგენს.

ისეთმა უახლესმა მოვლენებმა, როგორებიცაა კლიმატის მკვეთრი ცვლილება, შეიარაღებული კონფლიქტები და ა.შ., კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იშვიათ და უკიდურეს შემთხვევებში, მხატვრობის ჩამოხსნა შესაძლოა გამართლებული იყოს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევებისთვის მზად ვიყოთ, გამოვიყენოთ არსებული ცოდნა და შევიმუშაოთ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული, მაქსიმალურად ეფექტური საკონსერვაციო მიდგომა.

კედლის მხატვრობის ჩამოხსნის ისტორიისა და მეთოდების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ ამ თემის გარშემო მოძიებული ის კონკრეტული მაგალითები, რომლებიც დაგვეხმარა კედლის მხატვრობის ჩამოხსნის ტექნიკების უკეთ შესწავლასა და კრიტიკულ ანალიზში. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგალითად გამოვყოფდით მიუნსტერის მონასტრის (შვეიცარია) შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ფრაგმენტების სხვადასხვა მეთოდით კვლევასა და თანამედროვე გადაწყვეტებს. ვფიქრობთ, ამ მონასტრის გარშემო გამოქვეყნებული ბოლო პერიოდის სტატიები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გვიჩვენებს ჩამოხსნილი ან/და ჩამოცვენილი ფრაგმენტების კვლევის და კონსერვაციის ახალ და საინტერესო შესაძლებლობებს. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს კედლის მხატვრობა გასული საუკუნეების განმავლობაში არაერთი ხანძრის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა. შესაბამისად, ერთ-ერთ სტატიაში განხილულ თოთხმეტ მოხატულ ფრაგმენტზე განხორციელებული არაინვაზიური და ინვაზიური კვლევების შედეგად, შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რა ტიპის სახეცვლა განიცადა მხატვრობის ფრაგმენტებმა, რა ახალი ტიპის მასალები წარმოიშვა ამ ფრაგმენტებზე სხვადასხვა გარემო ფაქტორისა და ფიზიკო-ქიმიური პროცესების ზემოქმედების შედეგად და რაც მთავარია, ფრაგმენტებზე არსებული სიშავე პირდაპირ დაკავშირებული იყო წარსულში მომხდარ არაერთ ხანძართან თუ არა. კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც მოხდა 1908 წელს და ხელი შეუწყო გარკვეულ ცვლილებებსა და გაუარესების პროცესებს, იყო როდესაც სხვენში კედლის მხატვრობა მოიხსნა სტრაპო და სტაკო მეთოდებით. ამ პროცედურის დროს ბევრი ფრაგმენტი ჩამოვარდა კედლებიდან. 1993 წელს, არქეოლოგებმა ყველა აღმოჩენილი არტეფაქტი დაალაგეს, მოხდა კატალოგიზაცია და ყუთებში შენახვა. შესაბამისად დიდი რაოდენობით მოხატული ნალესობის ფრაგმენტი კვლევისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია სტატია იმავე მონასტრის ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტების შესახებ, რომლებიც ინახება შვეიცარიის ეროვნულ მუზეუმში (ციურიხი). სტატიაში საუბარია სტრაპოსა და სტაკოს მეთოდებით ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ნიმუშების ისტორიაზე, საკონსერვაციო-სარესტავრაციო ისტორიაზე, ამჟამინდელ მდგომარეობაზე, კვლევის თანამედროვე მეთოდებსა და სამომავლო

[1] Faras Gallery / Permanent galleries / Collections / National Museum in Warsaw

გეგმებზე. ძალიან მნიშვნელოვანია სტატიის ის ნაწილები, სადაც კრიტიკულად არის გაანალიზებული ამ კონკრეტული კედლის მხატვრობის ფრაგმენტების ჩამოხსნის საჭიროება, სავარაუდო სუბიექტური მიზეზები და ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც ცალსახად გამოწვეულია მხატვრობის ჩამოხსნით, განსაკუთრებით სტრაპოს ტექნიკით გამოყენებისას. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ სტატიაში კედლის მხატვრობის სხვადასხვა ტექნიკით ჩამოხსნა განხილულია პროფესიული ეთიკის, დროის და რაც მთავარია, კედლის მხატვრობის ნიმუშებზე ზეგავლენის მიმართულებებით. სტატიის ავტორები ნათლად აღწერენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს კედლის მხატვრობის ჩამოხსნას, ჩამოხსნის შემდეგ განხორციელებულ ჩარევებსა და ფრაგმენტების ამჟამინდელ არასახარბიელო მდგომარეობას შორის და ასკვნიან, რომ კონსერვაციის თანამედროვე ღირებულებებისა და მიდგომების გათვალისწინებით, კედლის მხატვრობის ჩამოხსნა ნამდვილად უნდა იყოს უკიდურესი მეთოდი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხატვრობის გადარჩენა და მის ავთენტურ კონტექსტში შენარჩუნება შეუძლებელია და სხვა მეთოდი არ არსებობს. სტატიის ავტორები არაერთხელ აღნიშნავენ, რომ კედლის მხატვრობის ჩამოხსნა, ძალიან გავრცელებულ და პოპულარულ მეთოდს წარმოადგენდა გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით იტალიაში, თუმცა ფაქტია, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებს წვდომა აქვთ კვლევის მრავალფეროვან მეთოდებსა და ხელსაწყოებზე, ხოლო კონსერვაცია-რესტავრაციის მეთოდები და მასალები განვითარდა, კედლის მხატვრობის ჩამოხსნა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროფესიონალთა გუნდისა და მრჩეველი საბჭოების მიერ ძალზე კრიტიკულად უნდა იქნეს შეფასებული.

კედლის მხატვრობის ჩამოხსნის მსოფლიო ისტორიის, მეთოდებისა და დღევანდელი მიდგომების მოკლე მიმოხილვის შემდეგ აუცილებელია, შევეხოთ იმ გამორჩეულ ქართულ მაგალითებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შევიქმნათ ადგილობრივ კოტექსტსა და მიდგომებზე. აღსანიშნავია, რომ უცხოური პროფესიული ლიტერატურისაგან განსხვავებით, საქართველოში კედლის მხატვრობის ჩამოხსნის, ახალ საფუძველზე გადატანისა და ექსპონირების შესახებ არსებული ინფორმაცია უაღრესად მწირია.

საქართველოში გამოქვეყნებული ერთ–ერთი ყველაზე ადრეული სტატია, რომელიც კედლის მხატვრობის ჩამოხსნის ადგილობრივ მაგალითებსა და მეთოდებს ეხება, ეკუთვნის რესტავრატორ კარლო ბაკურაძეს (ბაკურაძე, 1974:58-62) „მხატვარ-რესტავრატორის პრაქტიკიდან“. სტატიის ავტორი მოგვითხრობს 1956-57 წლებში, გველეთის (ყაზბეგი) და მარტვილის (სამეგრელო) ეკლესიებში კედლის მხატვრობის ცალკეული ფრაგმენტების ჩამოხსნის შესახებ. სტატიაში დეტალურად, ტექსტუალურად და გრაფიკულად არის აღწერილი კედლის მხატვრობის ჩამოხსნისთვის მოსამზადებელი, ჩამოხსნის პროცესში განხორციელებული და ჩამოხსნის შემდეგ ჩატარებული სამუშაოები, დასახელებულია მასალები და მეთოდები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ავტორი ასახელებს მხატვრობის მოხსნის ორ განსახვავებულ მიზეზს: გველეთის ეკლესიის შემთხვევაში, ტაძარს არ ჰქონდა გადახურვა და შესაბამისად, კედლის მხატვრობა ზიანდებოდა. ამის გამო საჭირო იყო მისი მოხსნა და უსაფრთხო ადგილას გადატანა. ავტორი ასევე აღწერს მეორე მაგალითს, მარტვილის ეკლესიაში, სადაც 1957 წელს, გაწმენდა-გამაგრებითი სამუშაოების დროს გამოვლენილ იქნა მხატვრობის ორი, XIV და XVI საუკუნეების ფენები, რის შემდეგაც, „მეთოდურმა საბჭომ გადაწყვიტა მოხსნილიყო ზედა ფენა, რომელიც XVI საუკუნით თარიღდება და გამოჩენილიყო XIV საუკუნით დათარიღებული ქვედა ფენა“. ორივე შემთხვევაში, მოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტები ჩაისვა სპეციალურად დამზადებულ ჩარჩოებში, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ კონსტრუქციას, რათა უზრუნველყოს სტაკოს

მეთოდით მოხსნილი კედლის მხატვრობის სტაბილურობა, მოწესრიგდა მხატვრობის ზედაპირი და ფრაგმენტები გადაეცა ადგილობრივ მუზეუმებს.
სტატიაში, ავტორები ხოდაშნელი და ვართაგავა (1988:88-92) საუბრობენ კედლის მხატვრობის ასლების შექმნის მნიშვნელობასა და ისტორიაზე საქართველოში და ასევე მიმოიხილავენ ბერთუბნის მაგალითს, სადაც, 1972 წელს, თამარ მეფის, ლაშა გიორგისა და სამი წმინდანის () გამოსახულებიანი ფრაგმენტების მოხსნა და თბილისში გადმოტანა გადაწყდა. "სპეციალური სამეცნიერო სახელოსნოს დავალებით, ბერთუბანში გაიგზავნა მხატვარ-რესტავრატორი შ. აბრამიშვილი ვაჟიშვილთან თემურთან და არქიტექტორ ნუკრი ალხაზიშვილთან ერთად. იმავე წლის შემოდგომაზე დედნები უკვე მოხსნილი იყო კედლებიდან […] საქმის დამთავრება მიენდო მხატვარ კარლო ბაკურაძესა და მის მეგობრებს. ეს იყო 1974 წელს. დღეს ეს აღდგენილი ფრესკები საიმედოდაა დაცული საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში…".
მრავალფეროვანი ინფორმაციაა მოცემული 2018 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში (ბუჩუკური, ტყემალაძე 2018:222-237), რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის კედლის მხატვრობის ჩამოხსნის საკითხებს ეხება. ავტორები გამოყოფენ და აჯგუფებენ მაგალითებს იმის მიხედვით, თუ რამ განაპირობა კედლის მხატვრობის მოხსნა:
სვიფის (სვანეთი) - შემთხვევაში წარმოდგენილი იყო ორი, სხვადასხვა პერიოდის მხატვრობის ფენა. მოცემული მაგალითის აღწერისას, ავტორები წერენ, რომ: „ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის არსებობს ორი მიმართულება; პირველი, როცა მოხატულობის ორი ფენის შემთხვევაში, შელესილობიანად მოიხსნება ზედა ფენა, დარჩენილ მოხატულობას ჩაუტარდება კონსერვაცია, ხოლო გვიანდელი მოხატულობის მოხსნილი ფენა სხვა სივრცეში გადავა საექსპოზიციოდ. მოხატულობის ორი ფენის შემთხვევაში, ასევე დასაშვებია სხვა გადაწყვეტილების მიღებაც, კერძოდ, კედლიდან, შესაძლებელია შელესილობიანად მოიხსნას მოხატულობის ორივე ფენა - ძველი, პირველი ფენის მოხატულობა გადატანილი იქნას სხვა სივრცეში, საექსპოზიციოდ, ხოლო ზედა, მეორე ფენა დაუბრუნდეს თავის პირვანდელ ადგილს. ზემოთ აღნიშნული პირველი ვარიანტის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება 1977 წელს, ზემო სვანეთში, ფარის სვიფის წმ. გიორგის ეკლესიის კედლის მოხატულობაზე ჩატარებული სამუშაოები".
ქემერტი - როდესაც კედლის მხატვრობის მოხსნა განპირობებულია შენობის საკონსერვაციო-სარესტავრაციო საჭიროებებით. 1991 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად ჩამოიშალა მოხატული ნალესობა და გამოჩნდა მხატვრობის უფრო ადრეული ფრაგმენტები. ავტორები არ აღწერენ კონკრეტულად რა სამუშაოები განხორციელდა ტაძარზე და რატომ იყო აუცილებელი მხატვრობის ადრეული ფენის ფრაგმენტების მოხსნა, თუმცა შედარებით დეტალურადაა აღწერილი თავად მხატვრობის მოხსნის პროცესი და დასკვნის სახით ვკითხულობთ, რომ: „დიდი სირთულეების მიუხედავად - მოიხსნა კედლის მოხატულობა შელესილობიანად. გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, აღდგენილ ეკლესიაში ვერ მოხერხდა მოხსნილი კომპოზიციების თავის პირვანდელ ადგილას მიმაგრება-მონტაჟი, ამიტომაც მოხსნილი კედლის მოხატულობა მომზადდება სხვა სივრცეში საექსპოზიციოდ".
თეთრი უდაბნო - „როცა მოხატულ ინტერიერს გარდაუვალი ნგრევა მოელის და აუცილებელია კედლის მოხატულობის მოხსნა და სხვა სივრცეში გადატანა, ან როცა კედლის შელესილობაზე არსებული წარწერების ისტორიული თუ პალეოგრაფიული ღირებულება იმდენად დიდია, რომ მისი დაცვისთვის, სამუზეუმო სივრცეში გადატანა აუცილებელია". ამ შემთხვევაში საინტერესოა შემდეგი აბზაცი: „მოხსნილი კედლის მოხატულობა ფრაგმენტებად გადატანილი იქნა სამუზეუმე სივრცეში, სადაც მოგვიანებით მოხდა მათი საექსპოზიციოდ მომზადება და ისინი საგამოფენო დარბაზში იქნა წარმოდგენილი", თუმცა, სამწუხაროდ, არ არის დაკონკრეტებული რომელ მუზეუმზეა საუბარი.

ლიხნე - 1986 წელს, „ლიხნეში, საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისას, მიკვლეული იქნა მანამდე მკვლევარებისთვის უცნობი წარწერები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა გარდამავალი მხედრულით ე.წ. მდივან-მწიგნობრულით შესრულებული წარწერა [...]. ზემოთ აღიშნული წარწერების ისტორიული, პალეოგრაფიული, მხატვრული ღირებულების, გარკვეული ობიექტური ვითარებისა და წარწერების გადარჩენისა და უსაფრთხოების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება; მოხსნილიყო კედლიდან აღნიშნული წარწერიანი შელესილობა და გადმოტანილი ყოფილიყო თბილისში, სამუზეუმე სივრცეში“.

დერჩი - კედლის ქვის დაზიანება და მოხატულ ნალესობასთან დაკარგული კავშირი, რაც ავტორების თქმით, შეუძლებელს ხდიდა მხატვრობის კონკრეტული ფრაგმენტების ადგილზე გამაგრებას, ამიტომაც საჭირო გახდა მხატვრობის დიდი ზომის მონაკვეთების მოხსნა, კონსერვაცია, ქვის საფუძვლის კონსერვაცია და შემდეგ მხატვრობის ფრაგმენტების უკან კედელზე დაბრუნება.

გვსურს, მოცემული მაგალითი უფრო დეტალურად მიმოვიხილოთ. დერჩის XVII საუკუნის კედლის მხატვრობა მოიხსნა და შემდეგ ისევ კედელზე დაბრუნდა, რაც აუცილებელია გაანალიზებულ იქნას კონსერვაცია-რესტავრაციის თანამედროვე პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის ჭრილში. სტატიის დასაწყისში ავტორები (ბუჩუკური, ტყემალაძე 2018:222-223) აღნიშნავენ, რომ 1970-იან წლებში, მხატვარ-რესტავრატორ კარლო ბაკურაძის ხელმძღვანელობით დერჩის ეკლესიის კედლის მხატვრობას ჩაუტარდა გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები, რა დროსაც: „ქიმები და ნაკლული ადგილები შეულესავთ თაბაშირით, კედლიდან გამოწეულ ადგილებში გაუკეთებიათ ინექტირება და ჩაუსხამთ ბამბიანი თაბაშირი. რამდენიმე ადგილას მოხატულობის გრუნტი-შელესილობა გაუმაგრებიათ კლამერებით. მიუხედავად ჩვენამდე ჩატარებულ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოთა არცთუ გამართული მეთოდოლოგიისა, აღნიშნულმა სამუშაოებმა დადებითი როლი შეასრულა მხატვრობის ჩვენამდე მოღწევაში, თუმცა, ძველი რესტავრაციის დროს გამოყენებულმა ინექტირების არასწორმა მეთოდმა, საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს დამატებითი სირთულეები შექმნა“. ავტორი წერს, რომ წლების განმავლობაში ეკლესიას არ ჰქონდა გადახურვა, რამაც, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ეკლესიის სტრუქტურასა და კედლის მხატვრობაზე. ავტორის თქმით, 2017 წელს განხორციელებული ფიზიკური სამუშაოების დროისთვის მხატვრობა მძიმე მდგომარეობაში იყო, აღინიშნებოდა მხატვრობის გაფხვიერება, ატკეჩილი და დაბზარული ადგილები, შესუსტებული იყო კავშირი კედლის წყობასა და ნალესობას შორის და მხატვრობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოცილებული იყო კედლის საფუძველს. რაც შეეხება კედლების ქვის მდგომარეობას, ავტორის თქმით, „თლილი ქვით ნაშენი კედლის წყობა - ფენა-ფენად იყო აქერცლილი და დაშლილი. მხატვრობიანი შელესილობის თავის პირვანდელ ადგილას მიმაგრება მიწნეხვის მეთოდით შეუძლებელი იყო. შელესილობის მძიმე მდგომარეობის გამო, ასევე, შეუძლებელი იყო ე.წ. ინექტირების მეთოდის გამოყენება“. შედეგად, რესტვრატორთა რჩევით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მხატვრობის ზოგიერთი მონაკვეთი, რომელთა ადგილზე გამაგრება შეუძლებელი იყო, მოხსნილიყო და მოხსნილი ფრაგმენტების დამუშავებისა და კედლის ქვის წყობის მომზადების შემდეგ, კვლავ კედელზე მიემაგრებინათ. სტატიის ავტორები შემდეგნაირად აღწერენ კედლის მხატვრობის მოხსნისთვის ჩატარებულ სამუშაოებს:

- მოხატულობა გაიწმინდა;
- გამაგრდა როგორც გაფხვიერებული, ისე აქერცლილი საღებავის ფენა;
- მომზადდა საიზოლაციო ფენები;

- მოხატულობის მთელ ზედაპირზე თიილოზის მეშვეობით გაიკრა იაპონური ქაღალდის ორი ფენა;
- ერთი კვირის შემდეგ მოხატულობის მთელ ზედაპირზე, ორგანული წებოს მეშვეობით, მიეკრა დოლბანდის ოთხი ფენა სხვადასხვა მიმართულებით;
- მოსახსნელი ზედაპირის მთელ ფართობზე გაკეთდა ხის ლარტყებისგან [...] ჩარჩო-ბადე;
- ხის ჩარჩო მოსახსნელი მოხატულობის ზედაპირზე მიმაგრდა თაბაშირით, ორგანული წებოთი და დოლბანდით;
- ოთხი კვირის შემდეგ მოხატულობიანი შელესილობა მოიჭრა ქვის კედლის წყობიდან და მოთავსდა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, მოხსნილი კომპოზიციის წინა და უკანა მხარე კი დამუშავდა: უკანა მხრიდან მოითალა ზედმეტი სისქის შელესილობა. მოიხსნა ხის ლარტყების ჩარჩო-ბადე, გასწორდა მოხსნილი მოხატულობიანი შელესილობა, რომელიც ამობერილი და დეფორმირებული იყო და გაუკეთდა ახალი ჩარჩო-ბადე;
- აქერცლილი კედლის წყობა, საიდანაც მოიხსნა კედლის მოხატულობა, დამუშავდა და მომზადდა მოხატულობის თავდაპირველ ადგილას დასაბრუნებლად;
- ლედანის საშუალებით, თავის პირვანდელ ადგილზე მიმაგრდა გრუნტიანად მოხსნილი მხატვრობა;
- ორი კვირის შემდეგ მოხატულობის ზედაპირიდან მოიხსნა ხის ჩარჩობადე, დოლბანდის ფენები და იაპონური ქაღალდი;
- ავთენტური მასალით შეივსო ნაკერები და ბზარები“;

ავტორის თქმით, სრული საკონსერვაციო და სარესტავრაციო პროცესი აღბეჭდილია ფოტო და ვიდეო საშუალებებით.

დასკვნები

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვა, რომ საქართველოში კედლის მხატვრობის ჩამოხსნისა და შემდგომი სამუშაოების აღწერისას სტატიების ავტორები არათანმიმდევრულად და არასრულფასოვნად გადმოსცემენ მხატვრობის მოხსნისა და შემდგომ ჩატარებული სამუშაოების დეტალებს. ასევე, ვფიქრობთ, პრობლემად რჩება კედლის მხატვრობის ჩამოხსნის უკიდურესი აუცილებლობის დასაბუთების ნაწილი, რაც, როგორც წესი, ერთი წინადადებით და მტკიცებითი ფორმით არის გადმოცემული და არ განიხილავს როგორც ალტერნატიულ მეთოდებს, ისე მხატვრობის ჩამოხსნის უარყოფით მხარეებს. მეტიც, ყველა ასეთი შემთხვევა, სამუშაოების განმახორციელებელი რესტავრატორების მიერ არის შეფასებული როგორც წარმატებული და წერენ, რომ მხატვრობის მოხსნა მოხდა აბსოლუტურად დაუზიანებლად, რაც რეალობაში შეუძლებელია, რადგან კედლის მხატვრობის ჩამოხსნა, როგორი სიფრთხილითა და პროფესიონალიზმითაც არ უნდა იყოს განხორციელებული, არის ჩარევის ყველაზე აგრესიული და დამაზიანებელი ფორმა, რისი შედეგებიც ყოველთვის ასახულია ჩამოხსნილ ფრაგმენტებზე, ჩამოხსნისთანავე თუ გარკვეული დროის შემდეგ. რა თქმა უნდა, კრიტიკული ანალიზისა და ობიექტურობის ნაკლებობა უცხოურ წყაროებშიც ცალსახაა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ შედარებით ახალი პუბლიკაციები ჩამოხსნილ ფრაგმენტებზე არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზების კვლევა-დასაბუთებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას გვთავაზობს. ამ გამოცდილების გაზიარება, ვფიქრობთ, აუცილებელია ამ სფეროში მოღვაწე ქართველი სპეციალისტებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაკურაძე, კ. (1974). *მხატვარ-რესტავრატორის პრაქტიკიდან.* ჟურნალი ძეგლის მეგობარი, ბაკურაძე, კ. (1974). მხატვარ-რესტავრატორის პრაქტიკიდან. ჟურნალი ძეგლის მეგობარი, (#36), 58–62.

ბუჩუკური, მ. (2000). *გარეჯის ფრესკების რესტავრაცია: შედეგები და პერსპექტივები.* საერთაშორისო სიმპოზიუმი, "სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში - გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი", თბილისი, სექტემბერი, 254-275.

ბუჩუკური, მ., ტყემალაძე, მ. (2018). *ტაძრის მოხატულობის მოხსნის მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის.* საქართველოს სიძველენი,(#21), 222-237.

გაგოშიძე, დ. (2013). *იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან ჩამოტანილი წმ.სებასტიანეს ფრესკის სამი ფრაგმენტის სამუზეუმო ექსპონატად მოწესრიგება.* რესტავრატორთა საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 34-35.

გაგოშიძე, დ. (2013). *საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ბერთუბნის მონასტრის XIII ს-ის კედლის მხატვრობის ორი ფრაგმენტის, თამარ-მეფისა და ლაშა-გიორგის, საგამოფენო ექსპონატად მოწესრიგება.* რესტავრატორთა საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 26-30.

ხოდაშნელი, შ., ვართაგავა, ა. (1988). *ფრესკის მეორე დაბადება.* ჟურნალი საბჭოთა ხელოვნება,(#2).

სხირტლაძე, ზ., ბუჩუკური, მ. (2004). *მოხატულობის ფრაგმენტები ქემერტის ეკლესიიდან.* საქართველოს სიძველენი,(#6), თბილისი, 9-20.

ფოცხიშვილი, გ., პაპიაშვილი, ნ., მელივა, თ., კუპრაშვილი, ნ., (2023). *ჩამოცვენილი ან/და ჩამოხსნილი მონუმენტური მხატვრობის ნიმუშების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები.* ჟურნალი ACADEMIA, (#10), 222-234.

Bianca, M. (2022). *Wall paintings transfer: A short history, and the experience as applied to ancient Egyptian paintings.* British Museum Studies in Ancient Egypt and Sudan, (26), 1–37.

Bomin, S., Zongren, Y., & Cather, S. (2014). *Vast and dispersed: Developing portable facilities for non-invasive analysis and recording of heritage sites in China.* Studies in Conservation, 59 (S1), 141–144.

Brajer, I. E. (2002). *The transfer of wall paintings based on Danish experience*. London: Archetype Publications.

Cather, S. (2006). *Trans-technological methodology: Setting performance criteria for conserving wall paintings.* In R. Mazzeo (Ed.), Far East Asian Mural Paintings: Diagnosis, Conservation and Restoration (pp. 89–95).

Cather, S. (2010). *Choices and judgment: The professional conservator at the interface*. In N. Agnew (Ed.), Conservation of Ancient Sites on the Silk Road (pp. 22–32). Getty Conservation Institute.

Collalucci, G. (2011). *Restoration of war-damaged works of art: Two essential examples*. Ancient Art Today, Tbilisi.

Fiorillo, F., Fiorentino, S., Montanari, M., Monaco, C. R., Del Bianco, A., & Vandini, M. (2020). *Learning from the past, intervening in the present: The role of conservation science in the challenging restoration of the wall painting Marriage at Cana by Luca Longhi (Ravenna, Italy).* Heritage Science, 8(1), 1–13

ICOMOS. (1964). *International Charter for the Conservation and Restoration of Monuments and Sites*. Venice, Italy.

Lobell, J. A., & Sorrentino, P. (2014). *Saving the villa of the mysteries. Archaeology, 67 (2), 24-31.*

Madden, B. (2022). Wall paintings transfer: A short history, and the experience as applied to ancient Egyptian paintings. British Museum Studies in Ancient Egypt and Sudan, 26, 1–37.

Marsella, S., & Garzia, F. *3D imaging to improve damage restorations: The case of the Papal Basilica and Sacred Convent of Saint Francis in Assisi, Italy.*

Mora, P., Mora, L., & Philippot, P. (1984). *Conservation of wall paintings*. London: Butterworths, 245–261.

REFERENCES

bak'uradze, k'. (1974). *mkhat'var-rest'avrat'oris p'rakt'ik'idan.* zhurnali dzeglis megobari, (#36), 58–62.

Bianca, M. (2022). *Wall paintings transfer: A short history, and the experience as applied to ancient Egyptian paintings.* British Museum Studies in Ancient Egypt and Sudan, (26), 1–37.

Bomin, S., Zongren, Y., & Cather, S. (2014). *Vast and dispersed: Developing portable facilities for non-invasive analysis and recording of heritage sites in China*. Studies in Conservation, 59 (S1), 141–144.

Brajer, I. E. (2002). *The transfer of wall paintings based on Danish experience*. London: Archetype Publications.

buchuk'uri, m. (2000*). garejis presk'ebis rest'avratsia: shedegebi da p'ersp'ekt'ivebi*. saertashoriso simp'oziumi, "samonast'ro tskhovreba udabnoshi - gareja da krist'ianuli aghmosavleti", tbilisi, sekt'emberi, 254-275.

buchuk'uri, m., t'qemaladze, m. (2018). *t'adzris mokhat'ulobis mokhsnis metodologiis shemushavebistvis.* sakartvelos sidzveleni,(#21), 222-237.

Cather, S. (2006). *Trans-technological methodology: Setting performance criteria for conserving wall paintings.* In R. Mazzeo (Ed.), Far East Asian Mural Paintings: Diagnosis, Conservation and Restoration (pp. 89–95).

Cather, S. (2010). *Choices and judgment: The professional conservator at the interface.* In N. Agnew (Ed.), Conservation of Ancient Sites on the Silk Road (pp. 22–32). Getty Conservation Institute.

Collalucci, G. (2011). *Restoration of war-damaged works of art: Two essential examples*. Ancient Art Today, Tbilisi.

Fiorillo, F., Fiorentino, S., Montanari, M., Monaco, C. R., Del Bianco, A., & Vandini, M. (2020). *Learning from the past, intervening in the present: The role of conservation science in the challenging restoration of the wall painting Marriage at Cana by Luca Longhi* (Ravenna, Italy). Heritage Science, 8(1), 1–13.

gagoshidze, d. (2013*). ierusalimis jvris monast'ridan chamot'anili ts'm.sebast'ianes presk'is sami pragment'is samuzeumo eksp'onat'ad mots'esrigeba*. rest'avrat'orta saertashoriso k'onperentsia, tbilisi, 34-35.

gagoshidze, d. (2013). *sakartvelos erovnul muzeumshi datsuli bertubnis monast'ris XIII s-is k'edlis mkhat'vrobis ori pragment'is, tamar-mepisa da lasha-giorgis, sagamopeno eksp'onat'ad mots'esrigeba.* rest'avrat'orta saertashoriso k'onperentsia, tbilisi, 26-30.

ICOMOS. (1964). International Charter for the Conservation and Restoration of Monuments and Sites. Venice, Italy.

khodashneli, sh., vartagava, a. (1988). *presk'is meore dababeba*. zhurnali sabch'ota khelovneba,(#2).

Lobell, J. A., & Sorrentino, P. (2014). *Saving the villa of the mysteries. Archaeology, 67 (2), 24-31.*

Madden, B. (2022). Wall paintings transfer: A short history, and the experience as applied to ancient Egyptian paintings. British Museum Studies in Ancient Egypt and Sudan, 26, 1–37.

Marsella, S., & Garzia, F. *3D imaging to improve damage restorations: The case of the Papal Basilica and Sacred Convent of Saint Francis in Assisi, Italy.*

Mora, P., Mora, L., & Philippot, P. (1984). *Conservation of wall paintings.* London: Butterworths, 245–261.

potskhishvili, g., p'ap'iashvili, n., meliva, t., k'up'rashvili, n., (2023). *chamotsvenili an/da chamokhsnili monument'uri mkhat'vrobis nimushebis datsvastan dak'avshirebuli p'roblemebi*. zhurnali ACADEMIA, (#10), 222-234.

skhirt'ladze, z., buchuk'uri, m. (2004). *mokhat'ulobis pragment'ebi kemert'is ek'lesiidan*. sakartvelos sidzveleni,(#6), tbilisi, 9-20.

ილუსტრაციები

სურ. 1 ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტი, ფიგურის გამოსახულებით, ჩრდილოეთ ეგვტერის კარიბჭის მხატვრობა, გელათის მონასტერი, XVI ს., ფრაგმენტი ინახება გელათის მონასტერში.

სურ. 2 ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტის (სურ.1) ზურგის მხარე, მხატვრობის მოხსნის დროს დამატებული ფენები და მასალები.

სურ. 3 სოფელ ლიხაურის (გურია) ეკლესიის ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტი, ფიგურის თავის გამოსახულება, XVI-XVII სს., ფოტო გადაღებულია პირდაპირი (მარცხნივ) და გვერდითი (მარჯვნივ) განათების გამოყენებით. ფრაგმენტი ინახება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ლაბორატორიაში, ქ. თბილისი, ვლადიმერ გაბაშვილის ქ. #10.

სურ. 4, 5 სუდანი, ფარასის კათედრალის ჩამოხსნილი კედლის მხატვრობა, რომელიც დღეს წარმოდგენილია ფარასის გალერეაში, ვარშავის ეროვნულ მუზეუმში. ავთენტურ კონტექსტს მოცილებული კედლის მხატვრობის ფრაგმენტების საგამოფენო სივრცეში ექსპონირების მაგალითი.